ყოველწლიური მეცხრე.—№ 406 … ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ 1874.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შამბუროვის სახლებში.

ბიბლიოთეკა
საქართ. ბიბლიოთეკა

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: პირველი ნაბიჯი ქუთაისის თვით-მმართველობისაკენ.—წვრილი ამბები.—წიგნი რედაქტორთან — რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.— უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: ესპანია—საფრანგეთი — ს ა მ ა რ თ ა ლ ი: ნ. ნიკოლაძის საქმე.—განცხადებები.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: ქართველი ევროპაში, ს. მესხისა.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐ ᲗᲕᲘᲗ-ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ.

ამ დღეებში ქუთაისის ცხოვრებაში მოხდა ერთი შესანიშნავი შემთხვევა. ხანგრძლივი მისი ღაღადება საქალაქო გამგეობაზედ გაგონილ იქნა და ეხლა ეს საქმე თითქმის სანახევროდ გათავებულია.

ამ თვეს უფ. ქუთაისის გუბერნატორმა, გრაფმა ლევაშოვმა მიუწოდა ქალაქის მცხოვრებლებს და მისცა მათ წინადადება, რომ ამორჩიათ კამმისია სამოცდაექვსი კაციდგან შემდგარი. ამ პირებს უნდა მინდობოდათ სჯა და რჩევა ქალაქის საჭიროებებზედ. ერთის სიტყვით ამორჩეულები შეიქნებოდნენ მზგავსნი საქალაქო მმართველობის წევრებისა.

უ. გუბერნატორი ჰპოულობდა ამ ნაირი მოქმედების საჭიროებას იმ მიზეზით, რომ გაისამდი კიდევ არ იქნება ქუთაისში საქალაქო გამგეობა, და მანემდის, რა არი ცოტა მაინც გავარჯიშდეს მოქალაქეები თავიანთ საქმეებშიო.

ეს, რასაკვირველია, ძალიან მოსაწონი საქციელია გრაფი ლევაშოვის მხრით; მაგრამ ან კი ვინმე რას ერჩის იმერეთის სატახტო ქალაქს? საკმაოა ისიც, რომ როდესაც ქუთაისის აწმყო და მომავალი რკინის გზის გაყვანის დროს სასწორზედ იყო დადებული, მაშინ არ გამხდარან შუამდგომელი ქალაქის სარგებლობის დასაცველად. ეხლა კიდევ მძიმე ჭრილობაზედ მალამოს წაუსმელობა, რომელიმე მცირე ნუგეშის-ცემაზედ უარის-ჰყოფა, ხომ კარგი არ იქნებოდა!

მაშ გაისათ ღირსება ქუთაისს თვით მმართველობა. ესეც კარგია. მინამდის კი, ამ თორმეტს თვეს, რეპეტიციებით შეიქცევენ თავს და იმედია, მოქალაქეები ნამეტნავადაც განვითარდებიან თავის მომავალი ასპარეზისათვის.

ჩვენ კი იმაზედა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს ბუნებით ნიჭიერს ხალხს, ბევრათ არ სჭიროდა შემზადება იმისათვის, თუ როგორი გზა მისცეს თავის შემოსავალ-გასავალს.

ქუთაისი დღესაც მშვენიერად მიხვდებოდა იმას, თუ სად დახარჯოს ორიოდე აბაზი, ან საიდან მოიპოვოს ქალაქის საჭირო ფულები. დღეს ქუთაისი თავის საჭიროების დასაკმაყოფილებელად იხდის ფულს. ქალაქის მონაწილეობა ამ საქმეში მხოლოდ გადასახადის შეტანაშია. ერთი წლის შემდეგ უ. გუბერნატორის შუამდგომლობით ქუთაისს მიეცემა საკუთარი ხმა, საკუთარს თავის ცხოვრების საქმეში. მაშინ მას ექნება სრული ნება, რომ ისეთი მხარეები ქალაქის გასავლისა, რომელშიაც არაფერი არ იხარჯება, ანდა, თუ იხარჯება, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მცხოვრებლებისათვის, ლობეს გადაღმა გადისროლოს. მას ადვილად შეეძლება იქონიოს საქალაქო შკოლა, ბანკი, საავადმყოფო, განათებული და წმინდა ქუჩები, და სხ. ერთი სიტყვით მაშინ შეეძლება უკეთ მორთოს თავის ცხოვრება და იმდენათ გაინათლოს სიცოცხლე, რამდენათაც შესაძლებელია კომლიანი სახლის გაჩაღება.

მეველე.

### ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— ძალიან ვსწუხვართ, რომ ჩვენი გულწრფელი და მიუდგომელი მოქმედებით და ხალხის უმეცრებით უსარგებლებიათ ზოგიერთს უსინიდისო ადვოკატებს და კაცხელი გლეხებისათვის კიდევ მომეტებული სასყიდელი გამოურთმევიათ, იმ საფუძვლით, ვითომც „დროების“ ბასი და იმისაგან ცნობების გამოცხადება, მათი საქმე ყოფილიყოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ ადვოკატებთან არავითარი საქმე გვქონია და იმათი თხოვნით ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია.

სირცხვილი არ არის იმ ადვოკატებისათვის, ვინც განათლებას იჩემებს და ენით მუდამ ხალხის კეთილზედ ტარტარებს, რომ იმათში ერთი მაინც არ გამოჩნდა, რომელსაც კაცხელი გლეხების საქმე თავს ედვა და ერთის მხრით მომჩივანებისაგან და მეორეს მხრით უსინიდისო ადვოკატებისაგან გამოეხსნა ისინი!?

— სოფელს ხოვლეში რამდენიმე წლის წინათ ორი შკოლა იყო, საქალებო და სავაჟო, მასწავლებლად მღვდელი იყო და ზედამხედველად კნეინა ჯავახიშვილისა. კითხვა წერას გარდა ხელსაქმარსა და ხალიჩის ქსოვას ასწავლიდნენ. ეხლა, როგორც „სასოფლო გაზეთი“ გვაცნობებს, ეს ორივე შკოლები დაკეტილა, რადგან მღვდელი უჯამაგიროთ სწავლებას აღარ ნებულობს და კნ. ჯავახიშვილისას იჯახის საქმეები ნებას არ აძლევენ, რომ ამისთანა სასარგებლო საქმეს უპატრონოსო. როდის იქნება, რომ ჩვენი ყოველივე სასარგებლო საქმე კერძო პირების კეიფზე და გარემოებებზე არ იყოს დამოკიდებული?

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

(ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები)

### IV

### მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

მეორე დღეს, შუადღეზე, მე გულდაუწყვეტლად გამოვეთხოვე ვენას და იმის გამოფენას. წაველი რკინის გზის სტანციაზე და ავიღე ბილეთი მიუნხენამდი, რადგან ამ პიროს სატახტო ქალაქშიც მინდოდა ერთი დღე დავრჩენილიყავ. მეორეთ რომ დაჰკრა ზარამ, მე ერთი უფრო ცარიელი ვაგონი ამოვარჩიე, დავჯექი, მიველაგ-მოველაგე და დავიწყე აქეთ-იქით თვალების ფეცება. სულ იქით, ვაგონის მეორე კუთხეში, ვიღაც ორი ნემეცი ზიან და, თითქო ნამძინარევი იყვნენ, წელმოწყვეტილად ლაპარაკობენ. ცოტა ხანს შემდეგ კარები გაიღო და ერთი ჩვენებური სიბერისაგან კბილებ-ჩავარდნილი, ულვაშებ-შეკრეჭილი და წელში მოკაკული სომეხი შემოვიდა, თავის მაუდის კაბაში და შავი ატლასის ახალუხში გამოწყობილი. კიდევ, ცოტა ხანს შემდეგ, გაიღო კარები და ერთმა ახალგაზდა, ვაშლსავით ლოყებ წამოწითლებულმა, გაფუნთულებულმა ნემეცის ქალმა შემოჰყო თავი და ზედ ჩემ პირდაპირ დაჯდა.

პირ და პირ რომ შევხედე ამ ქალს, იმის თვალებში ამოვიკითხე: როგორი ახალგაზდა ხარ, არა გრცხვენია, რატომ არ დამელაპარაკებიო!

— ქალო, თქვენ, მგონი, მანდ მზე გაწუხებთ; თუ გნებავთ, აქეთ გადმოჯექით, ადგილი არის, ვუთხარი ჩემი დამტვრეული ნემეცური ენით და მივუთითე ჩემ გვერდით.

— მართალიაო, სთქვა და ბევრი არ უფიქრნია, ადგა და ჩემ გვერდით დაჯდა.

— თქვენ სად მიდიხართ?

— მიუხენშიო, თამამად და ღიმილით მიპასუხა.

— მეც იქ მივდივარ.

— ყოფილხართ თქვენ მიუნხენში? ქალაქს იცნობთ?

— ჩემ დღეში. არა, მაგრამ არა უშავს რა, არ დავიკარგები.

— მე კი პირველად მივდივარ იქ და ძალიან მეშინია: მარტო ვარ...

— რისი გეშინიათ, აქ არა ვარ, თუ ნებას მომცემთ, მე ვიქნები თქვენი რაინდი?

— მადლობელი ვარ, მაგრამ....

— მაგრამ რა?

— მეშინია...

— რისი გეშინიათ? და იმის დასამტკიცებლად, რომ მე მგელი არ ვიყავი და იმის შეჭმა არ შემეძლო, მივიწიე ახლოს იმასთან და სრულებით უნებურათ ჩემი მარჯვენა ხელი იმის მარცხენა ხელს დაედვა. ანტონინა ცოტათი შეჰკრთა, მაგრამ ხელი მაინც არ გასწია.

— ზოგიერთი კაცი მგელზე უარესიაო, თვალებში გამოესახა ანტონინას.

მთელი გზა უმტკიცებდი, რომ ის შემცდარია. მაგრამ რადგან ნემეცური ენის დიქსიონერი მალე გამომელია, მე იმ ენით დავიწყე იმას საუბარი, რომელიც მთელი ქვეყნისთვის ერთია

ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენ მივაწიეთ მიუნხენში, მოვკიდე ხელი ჩემ დამას, ჩამოვიყვანე ვაგონიდამ, ჩავჯექით Hôtel national-ის ომნიბუსში და გავსწიეთ. ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ ორი ოთახი დაჭერილი გვქონდა და ოტელიდამ გამოვედით: ანტონინა ვიღაც თავის ნაცნობ ქალთან წავიდა და მე ქალაქში დავიწყე ჩემებურათ ხეტიალი და თვალების ფეცება. დავიარე აქაური პოლიტეხნიკის შკოლა და სურათების გალერეია და ორივესაგან სრულიად კმაყოფილი დავრჩი. ქალაქიც, როგორც ნემეცის სიფაქიზეს ეკადრება, სუფთაა. სწორი ქუჩები, მაღალი, ძველი სახლები, პირზე წამოწითლებული და პიროთ გაბერილი ბავარიელები,— ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ნემეცის ქალაქს შეეფერება.

საღამოს, თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მე ჩემ ოტელში დავბრუნდი. დაღალული, მოქანცული ვიყავი და ის იყო ტანისამოსის გახდას შევუდექი და დაწოლას ვემზადებოდი, როდესაც ანტონინას ოთახიდამ რაღაც ხმაურობა მომესმა.

— ანტონინამ თავის თავი მე ჩამაბარა, მე ვიკისრე იმის მოვლა და უსვინიდისობა და გაუზრდელობა იქნება ჩემის მხრით, რომ არ შევიდე და არ დავხედო, თუ რამე საჭიროა, ან თუ მშვიდობით არის, მეთქი. ვიფიქრე და დავურაკუნე კარებზე.

ჯერ ხმა არ ამოიღო მე ვიფიქრე, სწორეთ დაწოლილა მეთქი, და ის იყო უკან დაბრუნებას ვაპირებდი, როდესაც წყნარის ხმით მომესმა:

— Herein! (შემოდითო).

შევაღე ნელა კარები და შევედი. გავიხედ-გამოვიხედე. ანტონინა არსად არა სჩანს. იმ მხრიდამ, სადაც საწოლი იდგა, მომესმა:

— მე ლოგინში ვარ, ძალიან დავიღალე; თუ მგელი არა ხართ, ეხლა გამოგაჩნდებათ, აქ ნუ მომეკარებით, დაჯექით მანდ და ისე ვილაპარაკოთ. სად იყავით, რა ნახეთ, სთქვით!

ყურ-მოჭრილ მონასავით დავემორჩილე იმის ბრძანებას; ჩამოვსჯექი სტოლთან და ყველაზე პირველად ვკითხე, ხომ კარგათ არის, ხომ არავის გაუბედნია იმის წყენინება, ან თავის საქმე როგორ გაარიგა. იმან მითხრა, რომ ძალიან კმაყოფილია ამ ოტელისა, კარგათ მემს ხურენო, ვახშამიც კარგი მაჭამესო და რაც შეეხება ჩემ საქმეს, ისე კარგათ გავარიგე, რომ მეც არ მოველოდიო.

იმან რომ გაათავა, მერე მე მოუყევი ჩემი იმ დღევანდელი ალიან-ჩალიანი. უთხარი ყველაფერი, სადაც ვიყავი, რაც ვნახე, როგორ კმაყოფილად დავრჩი, რომ პოლიტეხნიკური შკოლა და საზოგადოთ აქაური შკოლები ასე კარგათ არის გამართული, როგორ გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ბავარიის მეფის სასახლე ამ სასწავლებელთან შედარებით უბრალო ქოხს გავს მეთქი; მერე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე და ბუნებაზე დავიწყე ლაპარაკი და სხვ. და სხვ. და სხვ. ერთი ნახევარი საათი ვიყბედე ანტონინასთან და მერმე გამოვემშვიდობე და ჩემს ოთახში წაველი.

### V

### ც ი უ რ ი ხ ი

მეორე დღეს, დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა შევკარი ბარგი, გავისტუმრე ოტელის პატრონი და გამოვსწიე რკინის გზის სტანციაზე. ათ საათზე ჩვენი მაშინა გაქანებით მიდიოდა შვეიცარიისაკენ. ჩვენებურ ნასადილევს ჩვენ გადავედით ბოდენის ტბაზე.

დაიწყო შვეიცარია. მოწმენდილი, ლაჟვარდი ცა, პატარა გორაკები, ბუჩქებითა და ხეებით ამწვანებულნი, პატარა ღელეები და საზოგადოთ ერთი თვალის გადავლება ამ პატარა და თან დიდებული შვეიცარიისა, მე ჩემ პატარა სამშობლოს კუთხეს—იმერეთს—მომაგონებს...

ბოდენის ტბიდამ ციურიხამდი თითქმის ორი საათის სავალია, რასაკვირველია რკინის გზითა.

აი, გამოჩნდა ციურიხიცა, ეს შვეიცარიის განათლების კუჭი, ეს ზოგიერთისათვის საფრთხო ქალაქი, რომლის სახელსაც ზოგიერთები თითქმის გულ-გრილად ვერც კი გამოსთქვამენ, რომელშიაც მიღებული სწავლა და განათლება ქვეყნის დამღუპველ და დამაქცეველ და კაცობრიობის გამრყვნელ სწავლად და განათლებად მიაჩნიათ! ერთი სიტყვით, ეს არის ციურიხი თავის პოლიტეხნიკური შკოლით, რომელიც პარიჟის პოლიტეხნიკური შკოლის შემდეგ თითქმის პირველია ევროპაში, თავის რუსის ახალგაზდებით გატენილის უნივერსიტეტით, თავის სახელ-განთქმული ფლიუნტერნით, თავის მშვენიერი ტბით, თავის ამაყი და კმა-

— 30 დეკემბერს სოხუმი ერთ დიდ უბედურებას გადარჩენილა. იქაური ძველი ციხის კედლები ჩამონგრეულა და ამით მიწა ისე შეძრულა, რომ ციხეში შენახული ორი სათოფისწამლე სარდაფები და ოთხასი ათასი პატრონები გამსკდარა, მაგრამ ქალაქისათვის არაფერი უვნია.

---

— „სასოფლო გაზეთი“ გვაცნობებს, რომ რუისში პურის მაღაზია გაუმართავთ და ახლა ხუთასი კოდი ხორბალი აქვთ მოგროვებულიო. კარგი იქნება, თუ ეს პურის მაღაზია სოფლის საზოგადოებამ ხეირიანათ წაიყვანა და სხვებსავით მალე არ გააუქმა.

---

— 18 იანვარს თფილისის წრეში დამშეული სამარელების სასარგებლოდ სპეკტაკლი იქნება. ვინც წევრი არ არის იმათაც შეუძლიანთ ამ სპეკტაკლზედ დაესწრონ.

---

თფილისის ქალაქის თავი იწვევს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ სამარელების სასარგებლოდ რამე შესწირეთო, შესაწირავი მიიღება ქალაქის საგამგებოში. —

---

— ხონის არე-მარეში ერთ გლეხს ქორი უნახავს, რომელსაც ხოხობი დაეჭირა. იმას გარეული გონებია, ხოხობის წართმევა მოუნდომებია და ქორი ჭოლოკით მოუკლავს. მისდა საუბედუროთ ეს ქორი ეჟვნებიანი გამომდგარა. უცებ ქორის პატრონი თავადიშვილი მხლებლებით წამოსდგომია გლეხს, დაუჭირავს, მომრიგებელ მსაჯულთან მიუყვანია და საჩივარი განუცხადებია. მსაჯულს მცოდნე პირები დაუბარებია და უკითხავს, მითხარით, რამდენად ღირს ქორი, ან დღეში რამდენს ხოხობს იჭერსო, რომ ქორის მკვლელს გადავახდევინოო. მცოდნე კაცებად მიწვეულ თავადებს ქორი ვერ დაუფასებიათ, მაგრამ უთქვამთ, დღეში ქორი ექვს ხოხობს იჭერსო. ამ საფუძველზედ მსაჯულს ასი მანეთის გადახდევინება გარდაუწყვეტია. მოწმეები სად იყო, თორემ გლეხს შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ქორი გარეული ეგონა და იმიტომ მოკლა და მაშინ მსაჯული არაფერს გადაახდევინებდა. ეხლა კი რაღა ეთქმის, მაგრამ რა პირით სთქვეს მცოდნე პირებმა, რომ ქორი დღეში ექვს ხოხობს იჭერსო, რა ქორი იყო ეს ქორი?

---

ამასწინეთ თავადი ბისმარკისთვის ერთ ჩინოვნიკს ხელზედ უკოცნია. ეს საქმე გამოაცხადა ერთმა გაზეთმა და მოითხოვა, რომ ამისთანა უღირსი თანამდებობის კაცი გადაეყენებინათ სამსახურიდგან. ბრალდებულმა საჩივარი აუტეხა გაზეთს შეურაცყოფისათვის. სასამართლომ მოიწოდა ბრალდებულის თხოვნით მოწმეები, რომელთაც აჩვენეს შემდეგი: უ. შენსნიმ ტუჩი კი მიადვა ბისმარკის ხელსა და აკოცა, თუ არა, ამისთვის კი არ შეგვიხედავსო. რედაქტორები ამტკიცებდნენ, რომ ხელზედ კოცნათ საკმაოა, თუ კი კაცმა ტუჩები დაადვა ხელზედაო და მაინცა და მაინც კოცნა არც საჭიროაო.

სასამართლომ ვერაფერი ვერ მოაგვარა უკეთესი და მისწერა თავადს ბისმარკს, რომ აცნობოს სასამართლოს, აკოცა თავადს ბისმარკს შენსნიმ ხელზედ თუ არაო. საქმე ეხლა ამაზედა არის გაჩერებული. რამდენი პროცესსები ატყდებოდა ჩვენში, რომ ხელზედ კოცნა ისე სასირცხოთ მიაჩნდეს ზოგიერთს სულ მდაბალ კაცებს.

---

## წერილი რედაქტორთან.

---

„დროების“ 1873 წლის 28 დეკემბრის 404 ნომერში დაბეჭდილია უფ. მეველის სტატია ადვოკატების გამინდვრებაზედ. სხვათა შორის უფ. მეველე მოუთხრობს „დროების“ მკითხველებს ადვოკატების უსინიდისობის ერთს საინტერესო მაგალითს. ერთს ქუთაისელ ადვოკატს მოუწერიაო ერთი თფილისელი ადვოკატისათვის: „დასწერე კასსაციაო, საბუთიც რომ არა იყოს რაო, მაინც შეთხზე რამე, რაც იქნებაო; ფულს მაინცა და მაინც მივიღებთო“.

ამ ჟამად მე ვალად ვრაცხ გამოვაცხადო, რომ მეველისაგან მოყვანილი მაგალითი სწორეთ მართალია. შარშან მომწერა სწორეთ ამ გვარი წიგნი უფ. დავით აბდუშელიშვილმა თავისის და უფ. ლუარსაბ ლოლუას მხრით: „Напишите кассаціонную жалобу; если и нѣтъ поводовъ кассаціи, все таки напишите и подайте, деньги получимъ.“

ამ გვარი წიგნის მიღების შემდეგ მე, რასაკვირველია, საქმეს ხელს ვერ მოვკიდებდი, თუ რომ იმისი გარემოება მანამდის არ შემეტყო. მაგრამ საქმე აბდუშელიშვილის წიგნის მიღებამდისაც გასინჯული მქონდა, რადგანაც იმას წინეთ ლუარსაბ ლოლუა დეპეშით მწერდა: გაშინჯე საქმე და თუ კასსაციის საბუთი რამე არის, დასწერე და შეიტანეო. — მეც გავშინჯე საქმე და რადგანაც ვიპოვნე საბუთი კასსაციისა, დავსწერე კასსაციის საჩივარი და კიდევაც იმედი მქონდა, რომ საქმეს მოვიგებდი სენატშიაც და მას უკან პალატაშიც. — მერე მომივიდა აბდუშელიშვილის წიგნი; იწერებოდა, რომ მე, და ლოლუაც, გთხოვთო, რომ მაინცა და მაინც დასწერე კასსაციაო, საბუთიც რომ არა იყოს რაო.

ეს სიტყვები შეეხებოდა ტუსაღების ნანეიშვილისა და ყვინჩილიას საქმეს („Дѣло Нанеи-швили и Квинчилія, обвиняемые въ убійствѣ Шалика-швили“) და კასსაციის საბუთი რომ არა ყოფილიყო რა და საჩივარი მაინც დაგვებლაჯნა რამე, ეს უსინიდისობა და ტუსაღების მოტყუება იქნებოდა და ამით ჩვენ უფრო გაუჭირებდით იმათ სასჯელს, რადგანაც, მანამდის საქმე უსაბუთო და უსაფუძვლო კასსაციით გაიშინჯებოდა სენატში და იქიდამ დაბრუნდებოდა, მანამდისინ ტუსაღები ტყუილა-უბრალოდ უნდა მჯდარ იყვნენ სატუსაღოში. იმათი ბედი იყო, რომ, როგორც ზემოთ ვსთქვი, კასსაციის საფუძველი ვიპოვე და იმით ნანეიშვილი და ყვინჩილია სრულებით გამართლდნენ.

ხსენებული აბდუშელიშვილის წიგნი მე ძრიელ მაკვირვებს. დიდად ვსწუხ რომ აქვე ვერა ვბეჭდავ იმას. ბევრი ვეძებე ჩემს ქაღალდებში, სულ ერთიანად გადავაქოთე, მაგრამ არ იქნა, ვერ ვიპოვე ვერსად. მგონია, რომ უფ. სერგეი მესხის ხელში უნდა იყოს, რადგანაც ერთხელ გამოვართვა და კარგათ არ მახსოვს დამიბრუნა, თუ არა. ახლა უფ. მესხი სამზღვარს გარეთ არის და მე იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ვიპოვით იმ წიგნს და სრულიადაც დავბეჭდავთ.

ნიკოლოზ ყიფიანი.

1874 წ. იანვრის 10-ს
ქ. ტფილისს.

---

# რუსეთი

---

— მკითხველმა იცის, რომ რუსეთში თუ სადმე ქალაქებში და სოფლებში სამხედრო კაზარმები არ იყო გაკეთებული და იქ ჯარებს გავლა ან დროებით დადგომა მოუხდებოდა, ქალაქელები და სოფლელები ვალდებული იყვნენ, რომ ჯარის კაცები ანუ სალდათები თავის სახლში დაეყენებინათ. ეხლა ამ გვარი ვალდებულების მაგიერ მართებლობას სურს, რომ ფულით გადასახადი დააწესოს. ეს განკარგულება, რასაკვირველია, როგორც ხალხისათვის, ისე თვითონ ჯარისკაცებისათვისაც სასარგებლოა, რადგანაც თითოეულს ამათგანს ბევრი დავიდარაბისა და უსიამოვნობისაგან დაიხსნის. ან აქამდისინ რად არ მოიშალა ეს დამამძიმებელი ვალდებულება, როდესაც რამდე-

---

ყოფილ მცხოვრებლებით....

ეხლა რომ წარმომიდგება თვალწინ ციურიხი და მის არე-მარე, ახირებული შედარება კია, მაგრამ იმ წამსვე ქუთაისი და იმის არე-მარე მომაგონდება ხოლმე. შეხედეთ ციურიხი ორ ნაწილად არის გაყოფილი, მარჯვენა მხარე მთაზეა გაშინებული; მარცხენა უფრო სწორ ალაგას; შუაში ციურიხს ტბა და ლიმატი ჩაუდის, მარცხენა მხრით ხედავთ გამოჩენილ უტლის მთასა და ალბისს; უკან გაიხედავთ აქ და ალპის მთების შტოებს შეხედავთ. მაგრამ ეს შედარება მხოლოთ ამ გარეგანი მხრით თავდება. როგორც ჩვენს გორაზე წამოჭიმული მაქსიმე ბაბაშვილის სახლი ციურიხის ფლიუნტერნზე წამომდგარ პოლიტეხნიკურ შკოლას არ ჰგავს, ისე სხვა მხრით ეს შასადარებელი საგნები — ციურიხი და ქუთაისი — არ გვანან ერთმანეთს.

ციურიხი ნემეცური შვეიცარიის უდიდესი ქალაქია. მაგრამ განათლების მისაღები საშუალებებითა და სწავლულებისა და მეცნიერების სიმრავლითა ის მთელს შვეიცარიაში პირველ ქალაქად ითვლება. მართლაც, აქ არის გამოჩენილი პოლიტეხნიკური შკოლა, რომელშიაც ყველა ქვეყნებიდამ მოდიან განათლების მისაღებად, აქ არის მშვენიერად გამართული უნივერსიტეტი, გიმნაზია, უანგარიშო პირველ დასაწყისი შკოლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა, რაც კი განათლების მისაღებ საშუალებად ითვლება. ამასთან თვითონ ქალაქის მყუდროება, ცხოვრების სიიაფე და ყოველ მხრივი თავისუფლება, რასაკვირველია, ბევრ ახალგაზრდობას მიიზიდავდა ციურიხში; და მართლაც ასე მოხდა: ჩემს იქ ყოფნის დროს, როგორც მითხრეს, ნახევარზე მეტი სტუდენტები პოლიტეხნიკურს შკოლაში და უნივერსიტეტში სულ უცხო ქვეყნელები იყვნენ; ამათში ასზე მეტი რუსის ქალი და ვაჟი ერია და ხუთმეტამდი ჩვენებურებიც იყვნენ, რომელნიც ზოგნი ემზადებოდნენ უნივერსიტეტში შესვლას და ზოგნი კიდეც დაიარებოდნენ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, გამოცემულის მმართებლობის ბრძანებისგამო ზოგიერთები შინ დაბრუნდნენ და ზოგნი კი სხვა ქალაქებში გადავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

ჩემს აქ ყოფნაში რუსის ახალგაზდობას გაცხარებული ყრილობები და მოლაპარაკება ჰქონდათ იმაზე, თუ, მივდივართ და, რა უყოთ ჩვენს ბიბლიოთეკასაო. რამდენსამე იმათს ყრილობას და ბაასს დავესწარი და დავრწმუნდი, რომ ესენი, ღმერთმანი, ისე საშიშო და ყურადღების ღირსნი არ არიან, როგორც ჰგონიათ და როგორც შორიდამ მოეჩვენება კაცს. თვითონ იმათი წითელ-წვერა წინამძღოლი ხომ არასოდეს არ ყოფილა საფრთხილო კაცი და ეხლა ხომ სულ გამოფუტურებულა.

თვითონ ციურიხელი შვეიცარიელები რომ მოუთმენარი, უგუნებელი და ახირებულ ხალხი არ იყოს, ეს რუსები მშვიდობით იცხოვრებდნენ ციურიხში და ისწავლიდნენ. მაგრამ ამ ძალოცვილებს შეუდგენიათ თავისთვის მტკიცე კანონები ცხოვრებისა, ყოფა-ქცევისა, ტან-საცმელისა, და ნურავინ ნუ გაბედავს ამ კანონებზე გადასვლასო; ყველამ ისე იცხოვროს, ყველამ ისე ჩაიცვას, ყველამ ისე იმოქმედოს, როგორც მეო; ერთის, სიტყვით, ჩემგან განსხვავებულს, ჩემს კანონებზე გადასულს მე არაფერს არ მოვითმენო. რუსები კი თავის ხასიათით, თავის ჩვეულებებით, თავის კომბოსტოთი, ერთი სიტყვით, თავის რუსობით მოდიან აქ. აი, ეს არის იმ გარემოების მიზეზი, რომ ციურიხში რუსები როგორღაც ვერ მოთავსდნენ.

დიდის კმაყოფილებით ვამბობ, რომ ჩვენებურები ამ მხრით ძალიან კარგათ იქცევიან აქ. ისინი, რაც შეიძლება, სცდილობენ, რომ არც თავის ყოფაქცევით და არც გარეგანი შეხედულობით არ ეცნენ თვალებში მცხოვრებლებს, და ამის გამო ციურიხელებსაც ისინი ძალიან უყვართ და პატივსაც სცემენ ყველა კავკასიელს. ისინი როგორც თავის მოძმეს, თავის მეგობარს, როგორც კარგ კაცს, ისე უყურებენ და სიამოვნებით უმეგობრდებიან, თუ კი თვითონ კავკასიელმა მოინდომა იმათთან დაახლოვება. მაგრამ, საუბედუროთ, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა: ჩვენები ციურიხში ერთობ განცალკევებული არიან, ერთობ განზე დგანან და, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ერთობ თფილისურათ ცხოვრებენ.

მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო ის სწავლაში გულს-მოდგინება და სიბეჯითე იყო, რომელიც მე ჩვენებურ ორივე სქესის ახალგზდობას შევამჩნიე. ერთი წლის განმავლობაში აქ იმათ იმდენი შეიმატებიათ გონების გახსნაში, რამდენსაც ჩვენში, მგონი, ხუთი წლის განმავლობაშიაც ვერ შეიძენდნენ.

ორი კვირა დავრჩი მე შვეიცარიაში და ამ ორი კვირის განმავლობაში იმდენი ვიხეტიალე, რომ ერთს ჩემ მეგობარს ეგონა, რომ მუდამ მოგზაურ და დაუღალავად ყოველ კლდეზე მპორტყავ, ინგლისელად ვაპირებდი გადაქცევას.

ვიყავი შაფჰაუზენში; ვნახე გამოჩენილი დიდებული რეინის წყალვარდნილი....

ვნახე ლიუცერნი და იმის ერთ კლდეში გამოჭრილი, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს დაღუპული შვეიცარიელების სამახსოვროთ, უშველებელი ლომი.

ვნახე შვეიცარიის სატახტო ქალაქი ბერნი... უკაცრავათ: შვეიცარიაში ტახტი არ არის... ბერნი ის ქალაქია, რომელშიაც იმყოფება მთელი შვეიცარიის კავშირის უმთავრესი მმართებლობა.

ვნახე მშვენიერი ოთხი-კანტონის (ურის, უნტერვალდენის, შვიცის და ლიუცერნის) — ტბა, თავის ანკარა წყლითა, თავის ნაპირზე ჩამოწოლილი კლდეებითა და თავის კიდეებზე მერცხლის ბუდესავით მისკუპული სოფლებითა.

ვნახე გრიუტლი და საზოგადოთ ის ადგილები, სადაც 1307 წელს სამმა კანტონის უბრალო მცხოვრებლებმა: ვალტერ ფიურსტმა, ვერნერ შტაუფახერმა და არნოლდე მელხტალმა თავის დაჩაგრული მამულის, თავის მშვენიერი მთების, უცხო ტომის ხალხისაგან განთავისუფლებაზე შეჰფიცეს ერთმანეთს და კიდეც შეასრულეს ეს კაცის საუკეთესო მოვალეობა; ვნახე ის ადგილები, რომელიც უკვდავი პოეტის (შილლერის) კალამმა ასე ცხადათ, ასე ცხოვლად გამოხატა თავის „ვილჰელმ ტელში!“

ვნახე შესანიშნავი რიგი-ქულმის რკინის გზა და არა თუ ვნახე, ავედი კიდეც ამ გზით ქულმის მთაზე და იქიდამ, როგორც ხელის გულზედ, ისე დავინახე თითქმის მთაც, ეს მშვენიერი ტბა, ცუგის ტბა, ლიუცერნი, შვიცი, პილატის მთა და ძირს ბევრი მშვენიერად შემუშავებული და ამწვანებული სოფლები და ადგილები.

ვნახე... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მკითხველისათვის იმის უბრალო ჩამოთვლას, თუ რაც მე ვნახე შვეიცარიაში და რაც ღირსია ნახვისა! არაფითარი. ღმერთს რომ ჩემთვის უფრო ხელოვნური კალამი და აწერის ნიჭი მოეცა, მაშინაც უბრალო აწერით ვერ გამოუსახავდი მკითხველს ამ პატარა ქვეყნის მშვენიერებას; და განსაკუთრებით ჩემ მკითხველს, იქნება, ვერც მაშინ გავაკვირვებდი...

×

შვეიცარიაში რომ დავიარებოდი და იქაურ ბუნებას ვხედავდი, მუდამ ერთი შედარება მიდგა თვალ-წინ: კავკასიისა და შვეიცარიისა. ბუნებით, ადგილის მდებარეობით, თითქმის ჰავითა და ცხოველ-მცენარეობით კავკასიასა და შვეიცარიას შუა დიდი მსგავსებაა. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ერთი აკლია: შვეიცარიის ტბები. ბაუჩინეთ თფილისს გვერდით ჟენევის ტბა, ქუთაისის — ციურიხის ტბა, სადმე ზემო-იმერეთში ოთხი-კანტონის ტბა წარმოიდგინეთ, და თუ საქართველო შვეიცარიას არ ემგვანება სრულებით თავის ბუნებით, მაშინ რაც გინდათ, ის მითხარით.

მაგრამ ბუნების მსგავსებასთან — რა განსხვავებაა ერთისა და მეორე ქვეყნის განათლებაში, ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაში! ერთი ყოვლად აყვავებული, განათლებული, მდიდარი, მხნე, — მეორე ღარიბ-ღატაკი, უმეცარი! ერთი ნამდვილი სამოთხე დედა-მიწისა, — მეორე ისეთი

ნიმე ათი მილლიონი ოჯახის შეუწუხებლობა მხოლოდ რვა თუ ცხრა მილლიონ მანეთად დაჯდებოდა, როგორც მმართებლობისაგან დანიშნულს ამ საქმეზედ კამმისიას უანგარიშებია. ვინ იცის რამდენის შეწუხებისაგან დაიხსნის ხალხს ეს ეხლანდელი გარდაწყვეტილება. ზოგიერთ მეცნიერებს კი იქნება არ იამოს ეს ამბავი, რადგანაც იმათის აზრით ჯარის კაცების ოჯახში ჩახიზნება კაცთანათესავის აგებულებას აუკეთესებსო.

— გაზეთებში ამბობენ, რომ ეხლანდელი „მოსკოვის უწყებების“ რედაქცია სტოვებსო გაზეთურს ასპარეზს და გაზეთი რედაქტორების თანაშემწის უფ. ვოსკობოინიოვის ხელში გადადისო.

— სახელმწიფო რჩევის საერთო კრებაში დაბოლოვებულა ახალი სამხედრო წესდების განხილვა და დამტკიცება. უმაღლესად დამტკიცების შემდეგ ამ წესდების სისრულეში მოყვანაზედ სენატს უმაღლესი ბრძანებაც მიუღია. ტელეგრამმა „კავკაზისა“ გვაცნობებს, რომ სალდათად მხოლოდ ისინი უნდა იქმნენ გამოწვეულნი, ვისაც 1873 წ. ოცი წელი შეუსრულდაო.

# უცხო ქვეყნები

## ესპანია

ესპანიიდამ ძალიან ასაშფოთებელი ამბები მოდის. ღენერალ პავიას ნაპოლეონ პირველის მაგალითისათვის წაუბაძავს და იმასავით სალდათებით შეესევია ხალხის წარმომადგენელ დეპუტატებს და ძალით გამოუყრია ისინი კორტესების სასახლიდგან.

პირველად იმას ისევ კასტელარისთვის მიუწოდებია დიქტატორული უფლება და იმის უარის შემდეგ სერრანოსთვის. მაგრამ აქ ჩვენ ცოტა უკან დავბრუნდეთ და რამდენიმე სიტყვით დავხატოთ ესპანიის გაუწყნარებელი მდგომარეობა. მეფე ამედეის ტახტის დატოვების შემდეგ, 11 თებერვლის აქეთ, ესპანიამ ოთხი მმართველი გამოიცვალა და ერთი ნაციონალური კრება.

ფიგუერასი, პი-ი-მარგალი, სალმერონი და კასტელარი. ყველა ესენი თითოეულად იყვნენ ესპანიის ბედის განმგები, მაგრამ ვერცერთმა ამათგანმა ვერ მოახერხა, დაემყარებია თავის სამშობლოში თავისუფლება და წესიერება. ზოგს ჩამოგვიანებელი აზრების გამო, ზოგს გამოცდილებისა და ენერგიის ნაკლებობით, ზოგს პრინციპის შეუცვლელობის მიზეზით და უკანასკნელად უ. კასტელარს ბერჟუაზული მიმართულების მიზეზით ვერაფერი ხეირი დაუყრიათ ესპანიისთვის. კარლისტები სულ უფრო და უფრო აოხრებდენ ქვეყანას და ძალას იმატებდნენ, სოციალისტების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ და ამ საფუძვლით შესწყდა უკანასკნელი მართებლობა კასტელარისაც. ჩვენ ესპანიაზე ვრცელ და საფუძვლიან სტატიას დავბეჭდავთ და მანემდის გავაცნობთ მკითხველს უკანასკნელ ცვლილების შემთხვევას.

რომელიმე საგნებში უთანხმოება მოსვლოდა სალმერონს, კორტესების პრეზიდენტს, და კასტელარს. მეორე დღეს კასტელარს შეეკრიბა კორტესები და მოეთხოვა, რომ ისინი დაშლილიყვნენ და ახალი ამორჩევა მომხდარიყო. კორტესებს მაზედ უარი ეთქვათ და ეყარათ კენჭი იმაზეთ, რომ ისინი არ ერწმუნებიან კასტელარის, მართველობას და ხმის უმრავლესობით გამოუცხადებიათ დაურწმუნებლობა. კასტელარს იმ წამსვე თავი დაუნებებია სამსახურისათვის. ამაზედ უკიდურესი პარტია მხიარული დარჩენილა. ცოტას ხანს უკან კი მიხვდა თურმე კონსერვატორული უმრავლესობა, რომ ისინი შესცთენ და სთხოვეს ხელახლავ კასტელარს, მიეღო მართველობა. მაგრამ ის არ დათანხმებულა. ამ დროს ღენერალს პავიას ერთბაშათ ნაციონალური კრება გაუყრია და უთხოვნია კასტელარისთვის უფლების მიღება. მაგრამ ის ეხლაც უარზედ გამდგარა.

შემდეგ პავიას მოუწოდებია მოხუცებული მარშალი სერრანო და იმისთვის ჩაუბარებია ესპანიის ბედი. სერრანოსაც თავის მხრით ძველი ნაამხანაგევი 1868 წ. კაცები დაუნიშნავს მინისტრებათ.

შემდეგი გამოგვიჩენს რამდენათ სასარგებლო იყო პავიას თვით-მნებელობა. ეს კი არის, რომ სერრანოს და კამპანიის მმართველებათ მოწოდება ნაბიჯი კია მონარხიისაკენ. სერრანოს რეგენტობის დროს იყო ამედეის ესპანიის მეფეთ მოხმობა და ყველამ იცის როგორ სასაცილოდ დასრულდა ამ მონარხის როლი ესპანიაში.

პავიამ დღეს ცხადი უკანონობა მოახდინა, რომლისთვისაც ის უნდა დაიხვრიტოს კანონით. მაგრამ ეს კიდგვ არაფერი დანაშაულობა იქნებოდა, თუ კი იმითი თავის ქვეყნის საქმეს გააუმჯობესებდა.

ნაპოლეონმაც დააბნია „ხუთასის რჩევა“ Conseil des cinq cents. მაგრამ მაშინ იმას არ უძებნია მიყრუებული ლეგიტიმისტების ბატონობა. მან თითონ ჩაიბოჭა ხელში ყველაფერი. ღენერალ პავიას ესეც ველარ გაუბედავს. იქნება აქ უნიჭობაა მიზეზი, იქნება სხვა პატივსაცემელი გრძნობაც. დ რ ო მ დ ი ს, უფრო დაწვრილებით ამბის შეტყობამდის, ჩვენ ვერაფერს გადაწყვეტილს ვერ ვიტყვით იმის გარდა, რომ ღენერალი გადამხდარა კანონს.

## საფრანგეთი

პარიჟი 30 დეკემბერს 1873.

ეს ერთი კვირა აქ შობის დღესასწაულებია. ცოტა არ იყოს, პარიჟს სიცოცხლე მოემატა. ქუჩებზე, ბულვარებზე, ბალებში, მასკარადებში და კაფეებში უფრო მომეტებული ხალხი დაიარება, უფრო მომეტებული მოძრაობაა. თითქო ყველას დაავიწყდა, დროებით მაინც, თავის საკუთარი და საზოგადო საქმეები და გაჭირვება, და ჰსურს, ეს რამდენიმე დღე სიამოვნებით და ხანდისხან სიგიჟეში გაატაროს.

მაგრამ უფრო მომეტებულის სიხარულით ამ დღესასწაულებს აქ ყმაწვილები ეგებებიან. მართლაც, თითქმის ყველა ქუჩებზე ააშენეს ხელად პატარ-პატარა ქოხები და კარვები, რომლებშიაც მხოლოდ სხვა და სხვა ათასნაირი სათამაშოები ისყიდება ბავშვებისათვის, და უკანასკნელ მუშასაც ვერ ნახავთ, რომ, თუ კი შვილი გააჩნია, არ გამოეყვანოს ის ბულვარზე და ერთი-ორი სათამაშო რამე მაინც არ ეყიდოს იმისთვის.

×

ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონიათ ფრანცუზებს.

ალდგომის წინა ღამეს, ყმაწვილები რომ დაწვებიან, თავიანთ წაღებს ბუხარში შედებენ ხოლმე იმ იმედით, რომ „ნოელი“ (ამ ღამის ღმერთი) რასმე საჩუქარს ჩამიდებსო. დედ მამა უთუოთ რასმე სათამაშოს, ან სხვა რამე საჩუქარს ჩადებს ხოლმე იმ ღამეს ამ წაღებში. მეორე დღეს ყმაწვილი გამოიღვიძებს, მივარდება ბუხარს და აღტაცებით გამოუცხადებს დედ-მამას: აი რა მაჩუქა მე ნოელმაო! ყმაწვილები დარწმუნებული არიან, რომ „ნოელმა“ ზეციდამ გამოუგზავნა იმათ ეს საჩუქარი!

ეს, ერთის შეხედვით, ცრუ მორწმუნებითი ჩვეულება, ღმერთმანი, თითქოს განგებ გამოუგონიათ ფრანცუზებს, არა თუ მარტო ყმაწვილების სასიამოვნოთ, არამედ ზოგიერთი ხალხების დასაცინებლათაც.

მართლა, დაფიქრდით ცოტა და მიხვდებით, რომ ზოგიერთი ხალხები ხშირად ამ პატარა ბავშვებსავით და ხანდიხან იმათზე უფრო მომეტებულის თვალ-ახვეულობითაც იქცევიან. ყმაწვილებს წელიწადში მხოლოთ ერთ ღამესა აქვთ თვალთ-მაქცური, უგრძნობელი და შეუხებელი ძალის იმედი. იმათ მხოლოთ ერთ ღამეს აქვთ რწმუნება, რომ

---

კუთხე, რომელსაც მხოლოდ შეეძლო სამოთხედ ყოფილიყო!

ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველად თავის მამულის მოყვარულია. მგონი, არც ერთი მეორე ხალხი არ მოიძებნება დედამიწაზე, რომელსაც ისე უყვარს თავის პატარა, მაგრამ მშვენიერი სამშობლო, როგორც შვეიცარიელს. ის გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა, და სამშობლოს დამცირება იმის დამცირებაა. ამის გამო ის მართლაც ისე უვლის, ისე უყურებს თავის სამშობლოს, როგორც ნამდვილი შობილი თავის მშობელს. შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი. ის ამაყობს თავის სამშობლოთი; არავის არ მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას; გაჭირების დროს, როდესაც შვეიცარიას რამე შიში მიადგება, მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ისე ადგება ხოლმე და გადიან ბრძოლის ველზე მტრის წინააღმდეგ; ყველა ისე იცავს, ისე უყურებს საზოგადო მამულს, როგორც თავის უძვირფასესს საკუთარ საქმეს; ყველა მზათ არის, მამულს თუ დასჭირდება, არა თუ თავის შეძლება და ქონება, თავის თავიც შესწიროს. შვეიცარიის ყველა სახალხო სახლებზე ორი სიტყვა აწერია დევიზათ:— Liberte et patrie—„მამული და თავისუფლება“ და ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისათვის, ისინი არაფერს არ ზოგავენ; ციურიხელს ან სხვა რომელიმე ნემეცური კანტონის შვეიცარიელს რომ ჰკითხოთ: „ნემეცი ხომ არა ხართ თქვენო?“ ის წყრომით შემოგიბღვერთ და ამაყათ გეტყვისთ: „უკაცრავად, უფალო, მე შვეიცარიელი გახლავარ!“ აგრეთვე ჟენეველ შვეიცარიელს რომ ფრანცუზობა შესწამოთ, თუმცა ძალიან უყვართ ფრანცუზები, მაგრამ მაინც იმავე სიამაყით გიპასუხებთ, რომ „მე ფრანცუზი კი არა, შვეიცარიელი ვარო!“

აი, ამისთანა ხალხი ცხოვრებს იმ მთა-კლდიან და ტბა-მდინარეებიან პატარა შვეიცარიაში, რომელსაც ბევრის მხრით ევროპის საუკეთესო კუნჭულს ეძახიან. ხალხი ცოცხალი, მხნე, მშრომელი, თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარე.

×

გულდაწყვეტილი გამოვეთხოვე მე, ორი კვირის შემდეგ, ციურიხს და იქ მყოფ ჩემ თანამემამულეებს და გამოვემგზავრე ჟენევით პარიჟისაკენ.

## IV

### ჟენევა

ჟენევას პარიჟის ნამტვრევს ეძახიან, „მაშასადამე, ვფიქრობდი მე, ურიგო არ იქნება, სანამ მთელს პარიჟს ერთად ვნახავდე, ჯერ იმის ერთი ნაწილი, ერთი ნამტვრევი ვნახო.“

ორ დღეში ამისთანა ქალაქის გაცნობა და ყველა აქაური შესანიშნავი რამეების ნახვა, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ რამდენათაც გავიცანი, ეხლა, როდესაც პარიჟი და იმის ცხოვრება ნახული მაქვს, ვრწმუნდები, რომ ზემომოყვანილს შედარებას ზოგიერთი მხრით საფუძველი აქვს: მართლა, გარეგანი ცხოვრების მხრით ჟენევა ძალიან მოჰგავს რომელსამე პარიჟის უბანს. ისევ ხალხით გატენილი ქუჩები, ისევ მცხოვრებლების სიცხოველე და სიმკვირცხლე, ერთის სიტყვით, ისევ ქუჩის ცხოვრება“, რომელიც პარიჟში ასე ეცემა კაცს თვალში.

ჩემს იქყოფნაში ჟენევაში ბრუსვიკის ღერცოგი მოკვდა და რადგანაც ეს ქალაქი ძალიან შეჰყვარებოდა, თავის მდიდარ შეძლებიდამ, სხვათა შორის, 25 მილიონი ფრანკი ამ ქალაქს უანდერძა. უნდა გენახათ, რა ამბავში იყვნენ ჟენეველები! ყველა ამ 25 მილიონზე ლაპარაკობდა, ყველა ჰყვიროდა; გარეშე კაცს ეგონებოდა, რომ ეს ფულები, მთელ ჟენევას კი არა, განსაკუთრებით თითოეულ ჟენეველს უანდერძა იმ ცხონებულმა ბრუსვიკის ღერცოგმაო, ისეთს გაცხარებულ ბაასში, ყვირილში და მოლაპარაკებაში იყვნენ. ყველგან ჰკითხულობდნენ და ჩხუბობდნენ, თუ როგორ, რაში უნდა მოეიხმაროთ ეს ფულები? ზოგი ამტკიცებდა ფედერალურ უნივერსიტეტისთვის უნდა დაიხარჯოსო, ზოგი ახალი თეატრის ასაშენებლათ ნიშნავდა და ზოგი ვინ იცის, რისთვის. საუბედუროთ, ახლა ამ ფულებს ბევრი მემკვიდრეები და მოდავეები გამოუჩნდა, თორემ ეს 25 მილიონი ფრანკი, რომელიც თითქმის ჟენევის წლიურ შემოსავალს უდრის, უეჭველია, ბევრ კეთილ საქმეში გამოადგებოდა ჟენეველებს.

ზედვე ეტყობა ჟენევას, რომ ევროპის დედა-მიწაზე ის ყველაზე უთავისუფლესი ქალაქია: რაც ევროპის სხვა და სხვა მხარეებში აღკრძალული და დევნული ან წიგნები ან კაცებია, ყველას აქ შეუფარავს თავი. სხვათა შორის, ეხლა ჟენევა კომუნარებით სავსეა, რომელთაც მომეტებული ნაწილი ძალიან საწყალ მდგომარეობაში არიან. რომელთაც რაიმე ხელობა იცოდნენ, კიდევ როგორც არის გაუწყვიათ სიცოცხლე. ზოგიერთები რაღაც ბროშურებს სწერენ, თეითონვე დააქვთ და გამვლელ-გამომვლელს აჩრებენ ხელში—იყიდეო და ამით ძლივს ლუკმა-პურს პოულობენ. იმათ აქ სხვა და სხვა საზოგადოებები გაუმართავთ, საზოგადო სადილები დაუწყვიათ (La marmite sociale) და ამგვარი საშუალებებით დიდის გაჭირებით გამოდიან.

3

მონბლანის მშვენიერს ხიდზე ამართულია მშვენიერი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ორ ქალს, ერთმანეთზე გადახვეულს. ეს ძეგლი აშენებულა იმის სახსოვრათ, რომ 1814 წელს ჟენევა და იმის კანტონი შვეიცარიის კავშირს შეუერთდა. ერთ ქალს (შვეიცარიის კავშირს) ჩაუხუტებია გულში მეორე (ჟენევა) იმის ნიშნად, რომ შენ ჩემთან არა გიშავსრაო...

მაგრამ ჟენევის შესანიშნავ რამეებში ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება ჟან-ჟაკ-რუსოს ძეგლმა მიიქცია. ეს ძეგლი დგას პატარა კუნძულზე, რომელსაც აგრეთვე ჟან-ჟაკ-რუსსოს კუნძული ჰქვია და რომელზედაც ბერგის ხიდიდამ პატარა დაკიდული ხის ხიდი არის გაშენებული. უკვდავი მეთვრამეტე საუკუნის მწერალი დამჯდარია, ხელში უჭირავს კალამი და ქაღალდი და თითქო ერთი იმ თავის შესანიშნავ წიგნს სწერსო, რომელთაც ასე წინ წასწიეს ევროპის ჰკუა-გონება. ჟენევაშივე მოგზაურებს უჩვენებენ ერთს საუკეთესო სასტუმროსთან (Hôtel de ville) იმ ადგილს, სადაც 1762 წელს, მაშინდელი ჟენევის მმართებლობის გადაწყვეტილებით, დასწვეს ჟან-ჟაკ-რუსსოს საუკეთესო თხზულება „ემილი“, რომელშიაც ის სწერდა, თუ როგორ რყვნის ადამიანის ბუნებას ეხლანდელი ყმაწვილის აღზრდა და როგორი უნდა იყოს ნამდვილი აღზრდაო...

ამით ვათავებ მე, პარიჟამდი, ჩემი ერთი თვალის გადავლებითს მოგზაურობის აწერას და პირ და პირ პარიჟისაკენ მივეშურები.

ს. მესხი.

ხელ-გაუნძრეველად მიეცემათ ზეციდამ სათამაშო ან საჩუქარი.

და ზოგიერთი ხალხები ხომ მთელ თავის სიცოცხლეს ამ იმედით ატარებენ! იმათ დაუღიათ პირი, ჩამოუშვიათ ხელები, გაუჩერებიათ ტვინის მუშაობა და სრული იმედი აქვთ, რომ ყველაფერი, რაც კი იმათ სჭირიათ, რაც კი იმათ აკლიათ, კეთილდღეობამდი მისაღწევლად, ზეცის წყალობით შიეცემათ! თვითონ არ ინძრევიან, არ შრომობენ, არ მეცადინეობენ, რომ შეიძინონ რაც აკლიათ და მერე ზეცით ძალას აბრალებენ, რომ ის არ გვწყალობსო, ჩვენი ბედი ეს ყოფილაო!

×

აღდგომის წინა ღამეში ელზასისა და ლორენის აქაურმა საზოგადოებამ თავიანთი ჩვეულებრივი სალამო გამართეს იმ ოჯახებისთვის, რომელთაც გერმანიის ხელქვეშით ყოფნა არ მოინდომეს და თავის უწინდელ სამშობლოში—საფრანგეთში—გადმოესახლნენ. ათას ორასი ელზასელი, ლორენელი თავიანთი ცოლ-შვილით და აგრეთვე ბევრი გამოჩენილი რესპუბლიკელი დეპუტატები, სხვათა შორის: გამბეტტა ლანგლუა, პეირა, ლეპერი და სხვები იყვნენ ამ სალამოს დაპატიჟებული. ორი ათასი ელზასელი ყმაწვილისთვის სხვა და სხვა საჩუქრები იყო დამზადებული, რომელიც ელზასიდამ მოტანილ აღდგომის ხეზე (იოლკაზე) ჩამოეკიდნათ. ნაციონალურ მუზიკის, სიმღერის და თამაშობის გარდა, აქ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვეს, რომელშიაც, რასაკვირველია, ამ ორი წართმეული პროვინციის დაბრუნების იმედს აცხადებდნენ.

სხვათა შორის ერთმა აქტიორმა ისეთი მშვენიერი, პოეტური და პატრიოტული ლექსი წაიკითხა, რომ არ შემიძლია იმის შინაარსი მაინც მოკლედ არ გადმოქცეთ.

ერთი ელზასელი, ავათმყოფობის გამო, ვერ ასწრობს, დანიშნულ დრომდი, საფრანგეთში დაბრუნებას და რომელიღაც ელზასის პატარა სოფელში კვდება. იმას რჩება ორსული ცოლი. უკანასკნელი იმის თხოვნა და ანდერძი ის არის, რომ ევედრება ცოლს, ეხლავ საფრანგეთში წადიო, რომ ჩემი შვილი გერმანიის სამზღვარში არ დაიბადოს და გერმანიელად არ გახდესო. დამარხავს თუ არა საწყალი ცოლი ქმარს, იმ წამსვე გამოსწევს საფრანგეთის სამზღვრისაკენ. ძონძებში გახვეული, დაქანცული დედა დღე და ღამე მოუსვენარად მოდის ფეხით საფრანგეთისაკენ, რომ თავის ქმრის უკანასკნელი სურვილი აასრულოს. ბოლოს, როგორც არის, ის გარდმოვა სამზღვარზე, ცოცხალ-მკვდარი დავარდება ერთი ქოხის წინ და დიდის წვალებით განთავისუფლდება ორსულობისაგან. როდესაც ამ ტანჯვისაგან დაქანცული ცოტათი მოსულიერდება და თავის ახალ დაბადებულის ხმას გაიგონებს, დაიყვირებს: „ეს ვაჟი საფრანგეთის შვილიაო!“ და კვდება.

მთელი ზალა შეაძრწუნა ამ გრძნობით სავსე ლექსის კითხვამ, ბევრ დედებს თვალებზე ცრემლი მოერია.

+

გუშინ წინ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ვიქტორ ჰუგოს შვილი, ფრანსუა ვიქტორ ჰუგო დამარხეს. ეს იყო უკანასკნელი ვაჟი საფრანგეთის გამოჩენილის და საუკეთესო პოეტისა; უფროსი ვაჟი (შარლი) იმას შარშან წინ მოუკვდა ბორდოში, ერთი ქალიც (ვაკკერის ცოლი) წყალში დაეღრჩვა. ეხლა დარჩა მხოლოდ ორი შვილის-შვილი (შარლის) და ერთიც ქალი ამერიკაში გათხოვილი.

ფრანსუა ჰუგო გამოჩენილი იყო საფრანგეთის ლიტერატურაში, როგორც საუკეთესო მთარგმნელი და ამხსნელი შექსპირის თხზულებებისა. ამას გარდა იმის პუბლიცისტურმა სტატიებმა Rappel-ში ყველა რესპუბლიკელების ყურადღება მიიქცია. როდესაც ნაპოლეონ მესამემ თავის ავაზაკური მოქმედებით, ეშმაკობით და მოტყუებით, საფრანგეთის ბედი ჩაიგდო ხელში და იმპერატორად შეიქნა (1851 წელს), ფრანსუა და მამა მისი ინგლისში წავიდნენ და 1870 წლის 4 სეკტემბრამდი არ დაბრუნებულან, სანამ ისევ რესპუბლიკა არ დაარსდა საფრანგეთში. მაგრამ იმის დაბრუნება და ჭლექში ჩავარდნა ერთი იყო. მას აქეთია საწყალი თითქმის მუდამ ლოგინში იწვა, სანამ საუკუნოთ არ გამოეთხოვა ამ ქვეყანას..

მთელი რესპუბლიკელი, დემოკრატიული და ლიტერატურული პარიჟი გაჰყვა მიცვალებულს იმის უკანასკნელ სადგომამდი. ყველა პატივის-მცემლები თვითონ იმის აზრებისა და მამა მისის ნიჭისა დაესწრნენ ამ დასაფლავებაზე.

დიდი ბულვარები ორივე მხრით გატენილი იყო ხალხითა და მიცვალებულის ბალდახინს უკან თვალ-უწვდენელი გროვა ხალხისა და კარეტებისა მიუძღოდა, სანამ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე არ მიიტანეს. გულდასაწყვეტი სანახავი იყო დაობლებული დიდებული გაჭაღარებული პოეტი, რომელიც გულხელ დაკრეფილი და მტირალი მიჰყვებოდა თავის უკანასკნელ იმედს—შვილს... იქ, სასაფლაოზე რომ მივედით, ერთი იმდენი ხალხი დაგვხვდა, რომ ბალდახინი დიდის გაჭირებით მიაყენეს საფლავზე.

სიტყვა მხოლოდ ლუი-ბლანმა წარმოსთქვა, რომელშიაც ერთი-ორი მათრახი მიარტყა ნაპოლეონის მმართებლობას და ქება შეასხა პარიჟის ხალხს, ვიკტორ ჰუგოს და განსაკუთრებით მიცვალებულის მტკიცე ხასიათს, იმის კეთილშობილურ, რესპუბლიკურ აზრებს და ცხოვრებას.

დამარხვის შემდეგ, ხალხმა გამბეტტა შენიშნა, შემოეხვივნენ გარშემო და დაუწყეს თხოვნა, რომ სიტყვა სთქვიო. მაგრამ გამბეტტამ გარდაწყვეტილი უარი გამოაცხადა, მიიბრუნა პირი და ალაყაფის კარებისაკენ გაეჩქარა. აუარებელი ხალხი გაედევნა იმას უკან ყვირილით: „გაუმარჯოს გამბეტტას! გაუმარჯოს რესპუბლიკას! სიტყვა! სიტყვა! გააჩერეთ, ნუ გაუშვებთო!“ მაგრამ, როგორც იყო, ის გამოძვრა კარებში, ჩაჯდა კარეტაში და სიჩქარით გასწია.

გამბეტას აზრით, საფრანგეთის რესპუბლიკა ეხლა ისეთს მდგომარეობაშია, რომ ყოველი ცხარე სიტყვა, ყოველი ენერგიული მოქმედება ავნებს რესპუბლიკას. ამიტომაც მთელი იმის პარტია თითქმის ხმას არ იღებს არათუ ამისთანა შეკრებილებებში, არც ნაციონალურ კრებაში.

## სამართალი

ადგილის უქონლობის გამო ამ ნომერში ვერ დავბეჭდეთ უფ. ნ. ნიკოლაძის საქმეზედ დაწვრილებითი ანგარიში. ვაცნობებთ მკითხველებს მარტო მომრიგებელი მსაჯულის გარდაწყვეტილებას, რომელმანც ნ. ნიკოლაძეს მაზრის სამსაჯულოზედ შეურაცხმყოფელი სიტყვების ჩართვისთვის აპელაციის საჩივარში, ტყიბულის საქმის გამო, სამი თვის დატუსაღება განუჩინა. აპელაციის წესით ეს საქმე ქუთაისის მაზრის სამსაჯულოში ხუთშაბათს, 17 იანვარს, განიხილება. ნ. ნიკოლაძის დამცველად მიწვეულია თფილისელი ნაფიცი ვექილი ა. სტეფანოვი.

## განცხადება


თფილისის სამოქალაქო გამგეობის სამმართველო აცხადებს, რომ ხსენებულს სამმართველოში ამ იანვრის 21 დანიშნულია ვაჭრობა და სამი დღის შემდეგ კანონისამებრი ხელმეორედ ვაჭრობა იმაზედ, რომ იჯარით გაიცეს ქირაჯა მოსამსახურეთა და მუშათ გარდასახადი, მისის იმპერატორებითი უმაღლესობის კავკასიის მთავარ-მმართებლისაგან დამტკიცებულის პირობების საფუძველზედ, სამის წლის ვადით. იჯარიალების მსურველნი უნდა გამოცხადდენ სამმართველოში დანიშნულს დღეს.

პატივი მაქვს ვაცნობო ფოთი-თფილისის რკინის გზით მიმომავალ მგზავრთა, რომ მიხაილოვის (ხაშურის) რკინის გზის სტანციის მახლობლად გავაღე სასტუმრო, სახელდობ თფილისის გასტინიცა (гостинница „Тифлисъ“), სადაც შემიძლიან დავაკმაყოფილო მსურველნი, როგორც სამზარეულოში ისე საკანდიტეროში მომზადებულის სხვა და სხვა საჭმელებით, და ამასთანავე სუფთათ გაწყობილი სადგომი ოთახებით, რომელნიც ძვირად არ ეღირება.

სიმო თევდორაძე.

ვისაც სურთ დაიჭირონ მოსამსახურე ძიძა, მოახლე, აგრეთვე სახლები, შეუძლიანთ მიმართონ გასაგებ კანტორაში, რომელიც იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვემო ეტაჟში № 5-ში.

თბილისის მოქალაქე ისაკ მარტინის ძე მხითაროვი და კამ.

Желающіе нанять прислугу, служанку, няньку и т. п., а также квартиры со службою или безъ оной, могутъ обратиться въ справочную контору, помѣщающуюся въ Карванъ-сараѣ Тамамшева въ Нижномъ Этажѣ въ № 5-й

Тифлискій Гражданинъ Исакъ Мартыничъ Мхитаровъ и Георій Дандуровъ.


---

„დროება“. 1874, № 406

# ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 11 იანვარს 1874 წ.

### რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | სალამო |
|---|---|---|
| თფილისი | 8.18 | 8.17 |
| მცხეთა | 9.18 | 10.— |
| გორი | 11.39 | 1.43 |
| სურამი | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა | 6.49 | |
| ქუთაისი | 7.55 | |
| სამტრედია | 9.02 | |
| ახალ-სენაკი | 10.02 | |
| ფოთი | 11.27 | |

| ბ) თფილისისკენ | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი | 7.38 | |
| ახალ-სენაკი | 9.11 | |
| სამტრედია | 10.12 | |
| ქუთაისი | 11.17 | |
| ყვირილა | 12.38 | |
| სურამი | 4.57 | 7.15 |
| გორი | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა | 9.52 | 1.49 |
| თფილისი | 10.49 | 3.13 |

| გ) ფასი თფილისიდამ | Iკლ. | IIკ. | IIIკ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | .90 | .68 | .38 |
| გორამდი | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| ყვირილამდი | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაფ. შუადღეზე.
სტამბოლს—კვირაობით შუადღეზე.
სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაფათს, ღამე.
ოდესას—პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:
ასტრახნისკენ—
ასტრაბადისკენ—

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსმალეთში | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპ ოსეთში | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა.
ქუთაისს: ყოველ-დღე კვირას გარდა.
კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და მაფათს, ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (სალამომდე.)

გ) გორიდამ.
ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (სალამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ:
ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნი რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში | 20 |
| გერმანიაში | 14 |
| ინგლისში | 20 |

### ბირჟა

პეტერბურგი, 28 დეკემბ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 164 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 160 | — |
| **კურსი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში | 32 3/4 | ვექ |
| პარიჟში | 345 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | 6 3/4 | — |
| გირაოს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა (5 1/2) | 85 | 50 |
| ხარკოვის (6%) | 83 | 50 |
| მოსკოვის (5%) | 88 | 25 |
| **აქციები:** | | |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 572 | — |
| კავკაზის და მერკურის | 182 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 282 | — |
| „სალამანდრასი“ | 328 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 655 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 190 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 286 | — |

### თფილისის მაზანდა

10 იანვარს, 1874 წ.

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | 1 | — |
| —განჯის | — | 90 |
| —შორაგლის | 1 | 10 |
| ქერი. | — | 50 |
| ბამბა ერევნის | 4 | — |
| —ამერიკისა | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| —თარაქნული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | 50 |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | 20 |
| ხორცი ძროხის | — | 70 |
| — ცხვრის | — | 80 |
| სპირტი | 8 | — |
| შაქარი კარგი. | 8 | — |
| —მდარე | 7 | 80 |
| —ფხვნილი | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი | 19 | — |
| —საშუალი | 16 | — |
| —მდარე | 15 | — |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 6 | 10 |

### სახაზინო განცხადებები


—დიდი თავადის მთავარ-მმართებლის ნების დართვით „კავკაზის პრიკაზმა“ დანიშნა დამდეგი წლის რვა აპრილს ხელმეორთ ვაჭრობა სხვა და სხვა პირების საკუთარი ქვის შენობების და სოფლებში მდებარე ადგილ მამულის გასასყიდად.

—დიდი თავადის მთავარ-მმართებლის ნების დართვით „კავკაზის პრიკაზი“ ხელმეორედ ნიშნავს ვაჭრობას გორის მაზრის სამმართველოში სოფელს ხარულის მდებარე უმოსახლო ადგილების გასასყიდად. დაფასებითი აღწერილობა შეუძლიან ნახონ მაზრის სამმართველოში. ვაჭრობაა დანიშნული ამ წლის რვა აპრილს.

— „კავკაზის“ პრიკაზში თერთმეტს და თვრამეტს მარტს 1874 წ. დანიშნულია ვაჭრობა სხვა და სხვა თფილისელი მცხოვრებლების საკუთარი ქვის შენობების გასასყიდად.

დაწვრილებითი ცნობები ყველა ამ ვაჭრობაზედ ნახე გაზეთის „კავკაზის“ ამ წლის პირველ ნომერში.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Января 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.